იაპონიის მთავრობის „გრასრუტების საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსებული სამი პროექტის ხელმოწერის საზეიმო ცერემონია

2 მარტი, 2017

გრასრუტების და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტი

მარნეულის მუნიციპალიტეტში სოფელ ზემო სარალის საჯარო სკოლის რეაბილიტაციის პროექტი

2017 წლის 2 მარტს მარნეულის მუნიციპალიტეტში სოფელ ზემო სარალის საჯარო სკოლის რეაბილიტაციის პროექტზე საგრანტო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა ტოშიო კაიტანიმ და მარნეულის დემოკრატ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარემ ქალბატონმა ოლღა ენდელაძემ. ამ პროექტისთვის იაპონიის მთავრობის გრანტის მოცულობა შეადგენს 82 675 აშშ დოლარს.





გრასრუტების და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტი

ცხინვალის რეგიონთან ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ტერიტორიის ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან გაწმენდის და განაღმვის პროექტი

2017 წლის 2 მარტს ცხინვალის რეგიონთან ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ტერიტორიის ომის ფეთქებადი ნარჩენებისგან გაწმენდის და განაღმვის პროექტზე საგრანტო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა ტოშიო კაიტანიმ და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია ჰალო ტრასტი საქართველოს პროგრამის ხელმძღვანელმა ბატონმა ირაკლი ჭითანავამ. ამ პროექტისთვის იაპონიის მთავრობის გრანტის მოცულობა შეადგენს 346 000 აშშ დოლარს.





გრასრუტების კულტურული საგრანტო პროექტი

თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში იაპონური ენის სწავლებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობის გაუმჯობესების პროექტი

2017 წლის 2 მარტს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში იაპონური ენის სწავლებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობის გაუმჯობესების პროექტზე საგრანტო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა ტოშიო კაიტანიმ და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა ვახტანგ ლეჟავამ. ამ პროექტისთვის იაპონიის მთავრობის გრანტის მოცულობა შეადგენს 73 913 აშშ დოლარს.